საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №196/17

-- -- 2017 წლის 13 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №196/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე -- -- მიჰყიდა ატომობილი - რენო მეგანი, 1450 აშშ დოლარად. ვინაიდან, მყიდველის მიერ არ შესრულდა ნაკისრი ვალდებულებები -- -- 2016 წლის 12 ივლისს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ. სარჩელი სასამართლომ მიიღო განსახილველად, თუმცა 2017 წლის 29 მაისის განჩინებით, მოსამართლე -- -- დატოვა განუხილველი, მოპასუხის მისამართის არასწორად მითითების გამო. 2017 წლი 26 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

2017 წლის 27 ივლისის განჩინებით -- -- განსჯადობის გამო უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- არ შეაფასა სარჩელზე დართული დოკუმენტები და მოიქცა უყურადღებოდ. ამასთან, მას სასამართლოს შესაბამისი განჩინება ჩაბარდა 3 თვის შემდგომ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 12 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, თუმცა 2017 წლის 29 მაისის განჩინებით, მოსარჩელის მიერ მოპასუხის მისამართის არასწორად მითითების გამო სარჩელი დარჩა განუხილველი.

2017 წლის 26 ივლისს, -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. მოსარჩელეს 2017 წლის 27 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2017 წლის 27 ივლისის განჩინება -- -- გაეგზავნა 2017 წლის 28 ივლისს, (რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, განჩინება ნოემბრის თვეში ჩაბარდა მოსარჩელის მეუღლეს.) განჩინება არ გასაჩივრდა, შესულია კანონიერ ძალაში.

2017 წლის 8 ნოემბერს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. მოსარჩელეს -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება -- -- არ გაასაჩივრა იგი შესულია კანონიერ ძალაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ - „საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის“. ამდენად, სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად უფლებამოსილი იყო შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში არ მიეღო სარჩელი განსახილველად.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

ამდენად, მოსამართლე -- --, შესაბამისი განჩინებების მიღებისას, კერძოდ, სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას, ისევე როგორც სარჩელის განუხილველად დატოვებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორს არ გამოუყენებია აღნიშნული განჩინებების კერძო საჩივრით გასაჩივრების უფლება.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მას სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება ჩაბარდა 3 თვის შემდგომ, აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა განიმარტოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში მათი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ

ცხოვრობდეს. განსახილველ შემთხვევაში, -- -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის განჩინება გაეგზავნა კანონით დადგენილ ვადაში - 2017 წლის 28 ივლისს, ხოლო შემდგომ განმეორებით გაეგზავნა 2017 წლის 30 ოქტომბერს, სარჩელში მის მიერ მითითებულ მისამართზე (-- --), თუმცა ვერ ჩაბარდა, მისამართზე არ ყოფნის გამო. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მოსამართლის მიერ მხარისათვის განჩინების დაგვიანებით გაგზავნის ფაქტს ადგილი არ ქონია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №196/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი